გადაწყვეტილება Nგ-1/089/2015

ქ. თბილისი **13/07/2015**

განმცხადებელი - დ.თ.

მოთხოვნა - „A“-ს (შპს „ბ“; ს/კ ********) სახელით, „****.com“-ისა და ი/მ ო.ნ.-ს (პ/ნ **********) მიერ განმცხადებლის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრების (599 1* ** ** და 599 2* ** **) პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის 20 მაისს №01/268 განცხადებით მომართა მოქალაქე დ.თ.-მ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერზე - 599 1* ** ** 2015 წლის 18 მაისს მიიღო სარეკლამო ხასიათის შეტყობინება ნომრიდან 577 3* ** **. განმცხადებელმა წარმოადგინა მიღებული შეტყობინების ე.წ. „სქრინშოთი“, რომლის თანახმად, აუდიტი ო.ნ. შიდა აუდიტორულ მომსახურებას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. შეტყობინებაში არ არის რაიმე მითითება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ და არც სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული მექანიზმი.

ამას გარდა, განმცხადებელმა წარმოადგინა მობილური ტელეფონის ნომრიდან - 557 4* ** ** მის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერებზე - 599 1* ** ** და 599 2* ** ** 2015 წლის 20 მარტს, 03 აპრილს და 18 მაისს მიღებული სარეკლამო შეტყობინებები ე.წ. „სქრინშოთები“, რომლის მიხედვით, პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი პირი დაინტერესებულ პირებს სთავაზობდა ვებგვერდზე - ****.com უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის განთავსებას. წარმოდგენილი შეტყობინებები არ შეიცავდა რაიმე მითითებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ და არც სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმს.

განმცხადებელმა წარმოადგინა კიდევ ერთი სარეკლამო შეტყობინების ე.წ. „სქრინშოთი“, რომლის თანახმად, შპს „ბ“ (სავაჭრო ნიშნით „A“) დაინტერესებულ პირებს კომპანიის პროდუქციის შეძენის შემთხვევაში სთავაზობდა გარკვეულ აქციას. განმცხადებლის მიერ მიღებული სარეკლამო შეტყობინება არ შეიცავდა რაიმე მითითებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ და არც სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 21 მაისის Nგ-1/046/2015 გადაწყვეტილებით, დ.თ.-ს განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში. განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შპს „ბ“-სგან და ი/მ ო.ნ.-სგან. ასევე, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მობილური ოპერატორებისგან „****.com-ის“ მიერ გაგზავნილი შეტყობინების გამომგზავნი მობილური ტელეფონის ნომრის მესაკუთრის ვინაობის დადგენის მიზნით.

შპს „ბ“-ს 2015 წლის 28 მაისის წერილის თანახმად, შპს „ბ“-ს დაკვეთით და მისივე სახელით, შპს „ბ“-ს მიერ შემუშავებული ტექსტი მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით გაიგზავნა შპს „დ“-ს საშუალებით, შპს „დ“-ს ქსელის მომხმარებლებთან. შპს „ბ“-ს კონკრეტული აბონენტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. ამავე წერილის თანახმად, სარეკლამო შეტყობინება შეიცავდა ცხელი ხაზის ნომერს - 0322 5* ** **, სადაც მოქალაქეებს შეეძლოთ განეცხადებინათ უარი შპს „ბ“-ს სარეკლამო შეტყობინების მიღებაზე. ამასთან, შპს „ბ“-მ განმარტა, რომ მოგვიანებით სარეკლამო ტექსტში დამატებით მიუთითა უარის დასაფიქსირებელი მექანიზმი - SMS ნომერი - 91***.

შპს „დ“-მ 2015 წლის 03 ივნისის №15/098-3 წერილით, წარმოადგინა განმცხადებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, რომლითაც აბონენტი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ოპერატორის მომსახურების სტანდარტულ პირობებს. აღნიშნული სტანდარტული პირობების მე-10.4 პუნქტის თანახმად კი,

„აბონენტი თანახმაა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, მიიღოს ოპერატორისაგან ოპერატორის შესახებ და მის საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე ოპერატორის პარტნიორი თუ კონტრაქტორი კომპანიებისგან ნებისმიერი სახის სარეკლამო და საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებები, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ხმოვანი ზარები. აბონენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, უარი თქვას აღნიშნული რეკლამის და ინფორმაციის მიღებაზე ოპერატორისათვის წერილობითი შეტყობინებით ან ოპერატორის მიერ დადგენილი წესით ტექნიკური და/ან ელექტრონული ან სხვა გზით, კოდის ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რომლითაც დასტურდება ფაქტი, რომ მოთხოვნა გამომდინარეობს აბონენტისაგან.“

2015 წლის 13 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000027 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევისთვის, რომელიც ხელმოწერით დაადასტურა შპს „ბ“-ს წარმომადგენელმა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის 27 მაისს №296/01 წერილით მიმართა ი/მ ო.ნ.-ს და მოითხოვა ინფორმაცია - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელი სამართლებრივი საფუძვლით მოხდა განმცხადებლის ტელეფონის ნომრის მოპოვება. ასევე, მოითხოვა განმარტება აქვთ თუ არა მონაცემთა სუბიექტებს შესაძლებლობა განაცხადონ უარი ი/მ ო.ნ.-ს მიერ მათი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე და დადებითი პასუხის შემთხვევაში რა ფორმით. ი/მ ო.ნ.-ს 2015 წლის 01 ივნისის (რეგისტრირებული: №01/305; 02.06.2015) წერილის მიხედვით, სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაგზავნილ იქნა ო.ნ.-ს მიერ მისივე კლიენტებთან, თუმცა, ვინაიდან ერთ-ერთი ნომერი შეცდომით იქნა აკრეფილი, შეტყობინება გაეგზავნა უცნობ მოქალაქეს. ამავე წერილით ი/მ ო.ნ. მიუთითებდა, რომ, ვინაიდან 599 1* ** ** სატელეფონო ნომრის მფლობელს არ სურს შეტყობინებების მიღება, მის მიერ აღარ განხორციელდებოდა სარეკლამო შეტყობინებების აღნიშნულ სატელეფონო ნომერზე გაგზავნა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის 11 ივნისის №383/01 წერილით კვლავ მიმართა ო.ნ.-ს მის მიერ წერილში მითითებული ფაქტების დადასტურების მიზნით და მოითხოვა არაუგვიანეს 2015 წლის 19 ივნისისა, იმ კლიენტების ბაზის წარმოდგენა, რომელთაც გაეგზავნათ სარეკლამო შეტყობინება და ასევე, მისი მობილური ტელეფონის ნომრის 577 3* ** ** დეტალური ბილინგის შესახებ იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რითაც დასტურდება კლიენტებთან სარეკლამო შეტყობინების გაგზავნის ფაქტი. აღნიშნულ წერილზე პასუხი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს არ მიუღია. ამას გარდა, ინსპექტორის აპარატის 2015 წლის 06 ივლისის №481/01 წერილით ი/მ ო.ნ. 2015 წლის 08 ივლისს დაბარებულ იქნა ზეპირ განხილვაზე, სადაც იგი არ გამოცხადდა და არც განხილვის გადადების თაობაზე დაუყენებია რაიმე მოთხოვნა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევისთვის, 2015 წლის 09 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000026 რომელიც ი/მ ო.ნ.-ს გასაცნობად წარედგინა მის ოფისში (მის.: ქ. თბილისი, ჩ-ს ქ. 54), პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის წარმომადგენელს ი/მ ო.ნ. არ დახვდა ადგილზე. ი/მ ო.ნ.-სთან სატელეფონო საუბრის შედეგად კი, სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარი განაცხადა ოფისში მყოფმა პირმაც.

რაც შეეხება მობილური ტელეფონის ნომრიდან - 557 4* ** ** გაგზავნილ სარეკლამო ხასიათის შეტყობინებებს, ვინაიდან ვებგვერდზე - ****.com არ მოიპოვება ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მონაცემთა დამმუშავებლის იდენტიფიკაციის მიზნით ვერ მოხერხდა აღნიშნულ ტელეფონის ნომერზე დაკავშირება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარტმა მობილური ტელეფონის ნომრის - 557 4* ** ** მფლობელის ვინაობის და დემოგრაფიული მონაცემების დადგენის მიზნით, მიმართა მობილურ ოპერატორებს. შპს „ე“-ს 2015 წლის 08 ივნისის №2/442-15 წერილის თანახმად, აღნიშნული მობილური ტელეფონის

ნომერი რეგისტრირებულია შპს „ე“-ს ქსელში, თუმცა რადგან სააბონენტო ხელშეკრულება ვერ იქნა მოძიებული, შპს „ე“-მ ვერ უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენა.

სამოტივაციო ნაწილი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მე-8 მუხლი არეგულირებს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავების წესს. ამ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტა და უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტის ჰქონდეს შესაძლებლობა მოითხოვოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ან/და ამისათვის განსაზღვროს ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება.

1. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ბ“-ს მიერ მობილური ტელეფონის ნომრის - 599 1* ** ** პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების კანონიერების შესახებ.*

შპს „ბ“-ს (სავაჭრო ნიშნით „A“) მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე - 599 1* ** ** 2015 წლის 13 მაისს გაგზანილი სარეკლამო შეტყობინება არ შეიცავდა რაიმე ინფორმაციას შეტყობინებებზე უარის თქმის შესაძლებლობის შესახებ და არც მკაფიო მინიშნებას თუ რა გზით და რა საშუალებით არის შესაძლებელი მსგავსი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა. შეტყობინებაში მითითებული ტელეფონის ნომერი - 0322 5* ** ** ვერ ჩაითვლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებად, რადგან შეტყობინების შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული ნომერი განკუთვნილი იყო შეთავაზებული აქციით დაინტერესების შემთხვევაში კომპანიასთან დასაკავშირებლად და შეტყობინება არ შეიცავდა მკაფიო მინიშნებას, რომ მონაცემთა სუბიექტს ამ ტელეფონის ნომერზე დაკავშირების გზით შეეძლო ნების გამოვლენა და პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბ“-ს მიერ ადგილი ჰქონდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევას, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა ი/მ ო.ნ.-ს მიერ მობილური ტელეფონის ნომრის - 599 1* ** ** პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების წესის კანონიერების შესახებ.*

ი/მ ო.ნ.-ს მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე - 599 1* ** ** 2015 წლის 18 მაისს გაგზანილი სარეკლამო შეტყობინება არ შეიცავდა რაიმე ინფორმაციას შეტყობინებებზე უარის თქმის შესაძლებლობის შესახებ და არც მკაფიო მინიშნებას თუ რა გზით და რა საშუალებით არის შესაძლებელი მსგავსი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა. ის ფაქტი, რომ შეტყობინება გაიგზავნა მობილური ტელეფონის ნომრიდან და მონაცემთა სუბიექტს შეეძლო შეტყობინების გამომგზავნ ტელეფონის ნომერზე დაკავშირება, ვერ ჩაითვლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებად, რადგან შეტყობინება არ შეიცავდა მკაფიო მინიშნებას, რომ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტა და არც ინფორმაციას, რომ მონაცემთა სუბიექტს შეტყობინების გამომგზავნ ტელეფონის ნომერზე დაკავშირების გზით შეუძლია ნების გამოვლენა და პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი/მ ო.ნ.-ს მიერ ადგილი ჰქონდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევას, რაც წარმოადგენს მავე კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

3. მობილური ტელეფონის ნომრიდან - 557 4 ** ** პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების კანონიერება.*

განმცხადებლის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერებზე - 599 1* ** ** და 599 2* ** ** ტელეფონის ნომრიდან - 557 4* ** ** 2015 წლის 20 მარტს, 03 აპრილს და 18 მაისს მიღებული სარეკლამო შეტყობინებების ე.წ. „სქრინშოთებიდან" ირკვევა, რომ წარმოდგენილი შეტყობინებების არ შეიცავდა რაიმე მითითებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ და არც სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმს.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ე" არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნული მობილური ტელეფონის მფლობელის და შესაბამისად, ვერ მოხერხდა პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის" მე-5 მუხლით დადგენილია ვალდებულება - მომსახურების მიმწოდებელთან (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი) დაცული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მომხმარებლის შესახებ სულ ცოტა შემდეგ მონაცემებს: მომხმარებლის სახელსა და გვარს; მომსახურების მიწოდების

ადგილმდებარეობას და მომსახურების სახეობას; გაწეული მომსახურების ოდენობასა და საფასურს, თარიღსა და საერთო თანხის ოდენობას დღგ-ს ჩათვლით; გადახდის ვადას ან თარიღს. შპს „ე“-ს მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ვერ მოახერხა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, მონაცემთა დამმუშავებლის იდენტიფიცირება, შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ვერ უზრუნველყო მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დარღვევაზე ეფექტური რეაგირება და მონაცემთა სუბიექტის (განმცხადებლის) უფლებების დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 27-ე, 34-ე, 39-ე, 47-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ბ“ (ს/კ *********) მის.: ქ. თბილისი, ს. ლ-ქ., №97) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით;
2. ი/მ ო.ნ. (პ/ნ **********) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით;
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;
4. შპს „ბ“-ს და ი/მ ო.ნ.-ს დაევალოს მობილური ტელეფონის ნომრის - 599 1* ** ** პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტა.
5. შემდგომი რეაგირების მიზნით, ეცნობოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შპს „ე“-ს მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის“ მე-5 მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ;
6. დასრულდეს მოქალაქე დ.თ.-ს 2015 წლის 20 მაისის №01/268 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა.
7. განმცხადებელს, შპს „ბ“-ს, ი/მ ო.ნ.-ს და შპს „ე“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

8. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

ნიკოლოზ ბრეგვაძე

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოადგილე/ ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი